ადმინისტრაციული დაკავებები საპროტესტო აქციებზე - როგორც ბერკეტი გამოხატვის თავისუფლების ჩასახშობად

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს 2023 წლის 2 ივნისის საღამოს, პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული 6 უფლებადამცველისა და აქტივისტის საქმეს. მიმოხილვა ეყრდნობა უფლებადამცველებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შეჯამებულ ინფორმაციას, ასევე, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებს. 2 ივნისის საღამოს დააკავეს 7 ადამიანი, აქედან ერთი აქტივისტის შემთხვევაში, ვერ მოხერხდა კომუნიკაციის დამყარება. თუმცა ადამიანის უფლებათა სახლი თვალს მიადევნებს აღნიშნული საქმის სამართალწარმოებასაც.

ადამიანის უფლებათა სახლი განმარტავს, რომ ინტერვიუების, ფაქტების ანალიზის, საჯაროდ ხელმისაწვდომი ვიდეო-ჩანაწერებით დასტურდება, რომ არცერთ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია აქტივისტების მხრიდან ძალადობრივ ქმედებას. ყველა მათგანი მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით.

ხელში ბანერის ჭერა და ამგვარად საკუთარი აზრის გამოხატვა, თუნდაც ეს აზრი სხვისთვის მიუღებელი იყოს - დაცულია საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციით და არაერთი საერთაშორისო კონვენციით.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს უფლებადამცველებისა და აქტივისტებისთვის მშვიდობიანი და ხელსაყრელი გარემო ქვეყანაში. პროტესტის გამოხატვა, საკითხების ირგვლივ დისკუსია და განსხვავებული, თუნდაც სხვისთვის მიუღებელი აზრის მშვიდობიანი გზით გამოხატვა დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ნაწილია.

დაუშვებელია ადამიანების უკანონო დაკავება, უფლებადამცველებს არ უნდა აკავებდნენ საკუთარი უფლებებით სარგებლობის გამო ან იმის გამო, რომ ისინი იცავენ სხვების გამოხატვის ან შეკრების თავისუფლებებს. აღნიშნული ვალდებულებები გაწერილია: ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში (A/ RES/3/217), article 9; 2013 წლის აპრილის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში (UN Doc: A/HRC/ RES/22/6), OP 10 (c). ; 2015 წლის დეკემბრის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (UN Doc: A/ RES/70/161), OP 8. საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

- შეწყდეს 2 ივნისის საპროტესტო აქციაზე დაკავებული ყველა პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება;

- შეწყდეს უკანონო და არაპროპორციული ადმინისტრაციული დაკავებების გამოყენების პრაქტიკა საპროტესტო აქციებზე;

არაპროპორციული და უკანონო გამოყენების მზარდი და საგანგაშო პრაქტიკა

ბოლო თვეებში მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა სახელმწიფოსთვის ერთგვარ ბერკეტად იქცა, რათა შეზღუდოს უფლებადამცველებისა და აქტივისტების გამოხატვის და შეკრების თავისუფლება.

,,რუსული კანონის" საწინააღმდეგოდ გამართულ მარტის აქციებიდან მოყოლებული, ადმინისტრაციული წესით დააკავეს ასობით[1] ადამიანი. მათი დიდი ნაწილი, საშუალოდ, 2000-3000 ლარით დაჯარიმდა.[2] აქტივისტებისთვის წაყენებული მუხლი/ბრალდება, როგორც წესი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის[3] 166-ე *(წვრილმანი ხულიგნობა)* და 173-ე *(სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება)* მუხლებია. აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა 2021 წლის ცვლილებებით გაიზარდა. უმეტეს შემთხვევაში, მისი გადახდა შეუძლებელია ინდივიდუალური პირისთვის მისი მეგობრების, კოლეგების თუ სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე.

2 ივნისის აქცია და დაკავებული აქტივისტების საქმეები

უფლებადამცველებისა და აქტივისტების პროტესტი ეხმაურებოდა ბრატისლავაში, მსოფლიო უსაფრთხოების ფორუმზე (GLOBSEC), საქართველოს პრემიერ მინისტრის მონაწილეობისას გაკეთებულ განცხადებებს, მათ შორის ერთ-ერთ თემატურ დისკუსიაზე ჟურნალისტის კითხვაზე პრემიერის პასუხს, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის „ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ნატო, ნატოს გაფართოება"[4]. აღნიშნულ განცხადებას მოქალაქეების, აქტივისტების და უფლებადამცველების პროტესტი მოყვა, დაიგეგმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ. საპროტესტო აქციის შინაარსი გულისხმობდა მოქალაქეების მშვიდობიან გამოხატვის ფორმას, რაც პარლამენტთან ხელში ბანერით მისვლას და ბანერის საშუალებით აზრის დაფიქსირებას, პრემიერის დახასიათებას („დაახასიათე პრემიერი ერთი სიტყვით") მოიცავდა.

30 მაისსაც და შემდგომ დღეებშიც, აქციაზე მისულ მოქალაქეებს, რომლებსაც თან ბანერები ჰქონდათ, პარლამენტის წინ პოლიციელების ჯგუფი დახვდათ, რომლებმაც აქციის ორგანიზატორებს ბანერები ჩამოართვეს. პროტესტი გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც,

---

[1] იხილეთ ბმულები: https://www.radiotavisupleba.ge/a/32418904.html
https://www.radiotavisupleba.ge/a/32297649.html
https://tabula.ge/ge/news/698552-ngo-ebi-7-8-martis-aktsiebze-dakavebulebze-shss-s

[2] იხილეთ ადამიანის უფლებათა სახლის დოკუმენტებული საქმეები, დაკავებულების ისტორიები:
https://www.facebook.com/humanrightshousetbilisi/posts/pfbid0SrQeB3NxY2KwGLjxNgE5cWmqhrPKMPyxeH9vhaaTJkPpfCcBCY26AJ92rnvdWGsVl

[3] იხილეთ: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ბმული:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=519

[4] იხილეთ ბმული: https://www.radiotavisupleba.ge/a/32434919.html

პოლიცია აქციის მონაწილეებს კვლავ ართმევდა ბანერებს. აქტივისტების ნაწილმა, ნაცვლად ბანერისა, მათი აზრის გამომხატველი წარწერები მაისურებზე დაიტანეს. 2 ივნისს, პოლიციამ აქციაზე მისული 7 უფლებადამცველი და აქტივისტი დააკავა.

საერთო დარღვევები და ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთა დაკავებულების საქმეებში

- ყველა დაკავებული აქტივისტი და უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ არცერთი მათგანისთვის არ განუმარტავთ მიზეზი, თუ რატომ აკავებდა მათ პოლიცია;
- მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულები სამართალდამცავებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ, რაც დასტურდება არაერთი საჯაროდ ხელმისაწვდომი ვიდეო-ჩანაწერით[5], ოქმებში დაკავების მიზეზად ჩაიწერა პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევა და მათი შეურაცხყოფა.
- 2 ივნისს დაკავებულები იზოლატორში არსებულ პირობებს ნორმალურად აღწერენ, მათ შორის, ხაზს უსვამენ იქ მომუშავე პერსონალის ადეკვატურად ქცევას.
- არცერთ დაკავებულს არ მისცეს უფლება, რომ მათ მეგობრებს თუ კოლეგებს ნივთები შეეგზავნათ მათთვის, მათ შორის საკვები და წიგნები. რამდენიმე მათგანმა დასვა კითხვა, თუ რატომ იყო შეზღუდული საკვებისა და წიგნების შეტანა (რაც არ იკრძალება და დასაშვებია) - თუმცა, აღნიშნულ შეზღუდვებთან დაკავშირებით პოლიციას განმარტება არ ჰქონდა და პასუხობდნენ, რომ მათ უბრალოდ ასეთი დავალება აქვთ.
- დაკავებულები იზოლატორში 48 საათით დატოვეს, მათთვის ყოველგვარი განმარტების გარეშე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, დაკავებული პირი არაუგვიანეს 24 საათისა წარედგინება სასამართლოს, ეს ვადა ერთჯერადად შეიძლება გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათით. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელი წერილობით უნდა ასაბუთებდეს დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობას (მუხლი 247).
- ზოგიერთ შემთხვევაში გართულებული იყო ადვოკატებთან შეხვედრა.
- რამდენიმე პირმა აღნიშნა, რომ საკანში შესახლებამდე, მათ მრავალსაათიანი ლოდინი მოუწიათ საკვებისა და წყლის გარეშე, პოლიციის მანქანაში.
- დაკავებულების უმეტესობა შესახლდა არა თბილისში მდებარე პოლიციის განყოფილების საკანში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში.

2 ივნისს დაკავებული აქტივისტების ინდივიდუალური საქმეების აღწერა:

1. **სახელი, გვარი:** შოთა თუთბერიძე
   პროფესია, საქმიანობა: უფლებადამცველი, ადვოკატი
   დაკავების დრო: 2 ივნისი, დაახლოებით საღამოს 9 საათი
   წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
   სასამართლო პროცესი: არ არის ჩანიშნული

[5] იხილეთ ვიდეო: https://www.facebook.com/nikuradzemari/videos/1351699558709638 ; https://www.facebook.com/nikuradzemari/videos/760745295528449 ;

2 ივნისის საღამოს, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ მშვიდობიან პროტესტის გამოსახატად მისულ აქტივისტებს პოლიციამ ბანერები ჩამოართვა, შოთა თუთბერიძე პარლამენტთან მივიდა. დაახლოებით ერთ საათში, ის დააკავეს. ხელში ეჭირა ბანერი, წარწერით ,,ირაყლი". შოთა თუთბერიძის დაკავების შემდეგ, აქციის ორგანიზატორები პოლიციელებს უკითხავდნენ კონსტიტუციის პრეამბულასა და მე-17 მუხლს (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების შესახებ), რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. დაკავების შემდეგ შოთა თუთბერიძე ჯერ ვარკეთილში, შემდეგ კი თავისუფლების მოედანთან მიიყვანეს. მანქანაში, პოლიციელებმა თავდაპირველად უთხრეს, რომ ის განრიდებული იყო, მოგვიანებით, კი განუმარტეს, რომ ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ. სამართალდამცავებმა მას უთხრეს, რომ ტელეფონის გამოყენება შეეძლო, თუმცა საკუთარი ტელეფონით ადვოკატთან ვერ დარეკავდა. შოთა ამბობს, რომ მის მიმართ რაიმე სახის შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. დაკავებული რამდენიმე საათში გაათავისუფლეს.

2. **სახელი, გვარი:** ლაშა ჯანჯღავა
   პროფესია, საქმიანობა: მოძრაობა "ჯიუტი", სამოქალაქო აქტივისტი
   დაკავების დრო: 2023 წლის 2 ივნისი, დაახლოებით 22:00 საათი
   წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა, (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
   სასამართლო პროცესი: არ არის ჩანიშნული

არსებული ვიდეო მასალის მიხედვით[6], ლაშა ჯანჯღავა პარლამენტის წინ აღმართულ ჯებირებთან დგას. მან შეამჩნია, როგორ დაიძრა მისკენ პოლიციელების ჯგუფი და როგორ დაიწყეს კიბეზე მსხდომი პირებისთვის ბანერების წართმევა. ამ დროს, ლაშას ხელით აკავებს შავებში გამოწყობილი მამაკაცი და ელოდება, როდის მოვა პოლიცია. ვიდეოში ჩანს, რომ ლაშა ბანერის გარეშეა და პოლიციას წინააღმდეგობას არ უწევს. ოქმში ჩაიწერა, რომ იგი პოლიციას წინააღმდეგობას უწევდა. რეალობასთან შეუსაბამობის გამო, ლაშამ ოქმს ხელი არ მოაწერა. დუშეთის იზოლატორში ლაშამ დაახლოებით 40 საათი გაატარა. პირობებს ნორმალურად აღწერს, თუმცა მას არ მისცეს ნივთების, მათ შორის, წიგნის შეგზავნის უფლება.
ლაშა ხელწერილით გამოუშვეს და მისი საქმე არ არის გადაცემული სასამართლოში.

3. **სახელი, გვარი:** ედუარდ მარიკაშვილი
   პროფესია, საქმიანობა: უფლებადამცველი, იურისტი, ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" ხელმძღვანელი
   დაკავების დრო: 2023 წლის 2 ივნისის ღამე, დაახლოებით 00:00 საათი
   წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
   სასამართლო პროცესი: ჩანიშნულია 23 ივნისს, 11:00 საათზე

[6] იხილეთ ვიდეო: https://www.facebook.com/LJanjghava1/videos/6337586809628302

ედუარდ მარიკაშვილი აქციის მონაწილეებს 2 ივნისს შეუერთდა, მას შემდეგ, რაც აქციაზე მყოფი აქტივისტებისა და უფლებადამცველების კონსტიტუციური უფლების დარღვევის ფაქტების შესახებ შეიტყო.

აქციაზე მისვლიდან დაახლოებით ერთ საათში, ედუარდი და მისი კოლეგები დააკავეს. ედუარდს აქციაზე თეთრი ფურცელი ეჭირა, წარწერის გარეშე, რომელიც პოლიციელმა წაართვა და დახია. ედუარდმა იკითხა, თუ რატომ ართმევდნენ მას ფურცელს,ამის შემდეგ ყოველგვარი მიზეზის გარეშე პოლიციამ ედუარდ მარიკაშვილი დააკავა. არსებობს აღნიშნული ფაქტის ფოტო-ვიდეო მასალაც[7].

ედუარდ მარიკაშვილი თელავის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც 48 საათი გაატარა. უფლებადამცველს შეეზღუდა იურისტთან შეხვედრის უფლებაც.

4. **სახელი, გვარი:** ნიკა რომანაძე
   პროფესია, საქმიანობა: სამოქალაქო აქტივისტი
   დაკავების დრო: 2 ივნისის დაახლოებით ღამის 12 საათი
   წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
   სასამართლო პროცესი: ჩანიშნულია 23 ივნისს, 11:00 საათზე

ნიკა რომანაძე აქციაზე 1-ელ ივნისსაც იყო, სადაც მას ბანერი პოლიციელებმა ჩამოართვეს და დაუხიეს. 2 ივნისს აქციაზე გასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, რომ შოთა თუთბერიძე დააკავეს. აქციაზე მისული, ის აქციის სხვა მონაწილეების მსგავსად, მეგაფონით საქართველოს კონსტიტუციას უკითხავდა იქ მყოფ პოლიციელებს. პოლიციამ ბანერების ჩამორთმევა და დახევა დაიწყო. მას შემდეგ, რაც ლაშა ჯანჯღავა დააკავეს, ნიკამ ისევ დაიჭირა ბანერი. პოლიციელები სთხოვდნენ, რომ ბანერი შეენახა, რაზეც ნიკა განუმარტავდა, რომ ისინი მის უფლებებს ზღუდავდნენ. ბანერის რამდენჯერმე ჩამორთმევის და დახევის შემდეგ, ნიკა დააკავეს. სხვების მსგავსად, ნიკას ოქმშიც წერია, რომ პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. ნიკამ ოქმს ხელი არ მოაწერა. ნიკა რომანაძე სახელმწიფო უსაფრთხოების შენობიდან თელავის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. მანქანაში მან 9 საათი დაჰყო, მისთვის არ შეუთავაზებიათ საკვები და წყალი.

ნიკამ თელავის იზოლატორში 48 საათი გაატარა, არ მისცეს ნივთების და საკვების შეგზავნის უფლება (ნება დართეს, მხოლოდ თამბაქო შეეგზავნათ მისთვის). როგორც იზოლატორში განაცხადეს, მათ არ იცოდნენ რა ხდებოდა, თუმცა უმეორებდნენ, რომ ასეთი დავალება ჰქონდათ.

5. **სახელი, გვარი:** საბა ბრაჭველი
   პროფესია, საქმიანობა: ორგანიზაციის „ღია საზოგადოების ფონდი“ წარმომადგენელი, უფლებადამცველი, იურისტი
   დაკავების დრო: 2 ივნისი, დაახლოებით ღამის 00:00 საათი

---

[7]იხილეთ ბმულები: https://www.facebook.com/photo?fbid=291141053264958&set=a.210923817953349
https://www.facebook.com/gdi.ge/videos/6286515938130628

წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
სასამართლო პროცესი: ჩანიშნულია 23 ივნისს, 11:00 საათზე

საბა ბრაჭველი აქციაზე მას შემდეგ მივიდა, რაც რამდენიმე მშვიდობიანი აქტივისტი ბანერის ჭერის გამო დააკავეს. როდესაც პოლიცია მათთვის ბანერების გადაცემას ითხოვდა, საბა უხსნიდა, რომ მას ბანერის დაჭერის უფლება ჰქონდა. საბამ პოლიციას უხსენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ისეთი მოსაზრებებიც, რომელიც „აღიზიანებს, გააოცებს თუ შეაწუხებს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების რომელიმე სექტორს“[8], შესაბამისად, ბანერის გამო ადამიანის დაკავება დაუშვებელია[9]. საბას ბანერზე ეწერა "ირაყლი."

საბამ განყოფილებაში საათზე მეტი გაატარა. როგორც აღნიშნავს, ამ დღეს დაკავებული ადამიანების ოქმები იდენტური იყო, რადგან პოლიციელები ერთმანეთისგან იწერდნენ ოქმში შესატან ინფორმაციას. დარეკვის უფლება არც საბას მისცეს.
თბილისიდან საბა ჯერ გურჯაანში წაიყვანეს, მოგვიანებით, თელავის იზოლატორში გადაიყვანეს. გამთენიისას შეხვდა სახალხო დამცველის წარმომადგენელს, რის შემდეგაც საკანში შეასახლეს. როგორც ის ამბობს, გზაში ან იზოლატორში მის მიმართ უხეში დამოკიდებულება არ ყოფილა, ეკეთა ხელბორკილები, თუმცა არ მოუჭერიათ. იზოლატორში არ შეაგზავნინეს საკვები და წიგნები. საბა დაკავებიდან 48 საათის შემდეგ გაათავისუფლეს და მისთვის არ განუმარტავთ დამატებითი დროით დაკავების მიზეზი.

6. **სახელი, გვარი:** ნოდარ სიხარულიძე
   პროფესია, საქმიანობა: სამოქალაქო აქტივისტი
   დაკავების დრო: 2 ივნისის დაახლოებით ღამის 12 საათი
   წაყენებული ბრალდება: პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები)
   სასამართლო პროცესი: ჩანიშნულია 23 ივნისს, 11:00 საათზე

ნოდარ სიხარულიძე რამდენიმე დღის განმავლობაში ესწრებოდა აქციას. მისი თქმით, 2 ივნისს, ყველა მათგანის პროტესტის ფორმა გამოხატვის თავისუფლებაში ჯდებოდა. 2 ივნისს, ბანერები ასომთავრულად[10] ეწერათ. ნოდარის დაკავებას წინ უძღოდა სხვა აქტივისტების დაკავება. მას შემდეგ, რაც ძველი ქართულით დაწერილი ბანერები პოლიციელებმა გადათარგმნეს, დაიწყო მათი დაკავებები. რის გამო აკავებდნენ, არ განუმარტავთ. თავდაპირველად სამგორის ხოლო შემდეგ გურჯაანის პოლიციაში მიიყვანეს. ოქმში ჩაწერეს პოლიციისადმი წინააღმდეგობა და წვრილმანი ხულიგნობა. ნოდარმა ხელი მხოლოდ პირადი

---

[8] See para 45, link: https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22tabview%22:[%22document%22],%22itemid%22:[%22001-221542%22]%7D
[9] https://strasbourgobservers.com/2023/02/28/peradze-v-georgia-vulgar-language-public-morals-and-the-right-to-peaceful-assembly/
[10] ქართული დამწერლობის უძველესი სახე.

ნივთების ჩამორთმევის ფურცელზე მოაწერა და არა ოქმზე. ნოდარი გურჯაანის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც მან 46 საათი გაატარა. პოლიციელებს მისთვის არ აუხსნიათ, თუ რატომ ტოვებდნენ 24 საათზე მეტხანს.

სხვადასხვა ორგანიზაციების გამოხმაურება

აქტივისტებისა და უფლებამცველების დაკავებასა და პროცესებთან დაკავშირებით 16 ივნისს განცხადება გაავრცელა სახალხო დამცველის აპარატმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ დაკავებული 5 პირის შესახებ(საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის, ნიკა რომანაძის, გრიგოლ ფრანგიშვილისა და ნოდარ სიხარულიძის საქმეებზე) სახალხო დამცველმა დეტალურად შეისწავლა და შეაფასა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები და ანალიზმა გამოვლინა, რომ მათი ქმედებები სრულიად არაძალადობრივი იყო. ამის საფუძველზე, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრების მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ინფორმაცია წარუდგინა საერთაშორისო სტანდარტების, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესახებ.[11]

საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის, ნიკა რომანაძის, გრიგოლ ფრანგიშვილისა და ნოდარ სიხარულიძის პროცესები მოსამართლემ გააერთიანა და **23 ივნისს, 11:00 საათზე გაიმართება,** ხოლო დაკავებული ორი უფლებადამცველისა და აქტივისტის, შოთა თუთბერიძისა და ლაშა ჯანჯღავას საქმეები ჯერ კიდევ **არ არის გადაცემული სასამართლოში.**

უფლებადამცველების უკანონო დაკავებას არაერთი ადგილობრივი თუ არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა. [12]

---

[11] იხილეთ ბმული: https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelma-2-ivniss-dakavebuli-aktsiis-monatsileebis-sakmeebze-sasamartlos-mimarta

[12] იხილეთ ბმულები: https://www.radiotavisupleba.ge/a/32444135.html
https://www.frontlinedefenders.org/en/profile/eduard-marikashvili-
https://lawyersforlawyers.org/en/statement-on-the-arbitrary-arrest-of-georgian-lawyer-eduard-marikashvili/?fbclid=IwAR0kzJ9bNv3N5ocgRVm8VFPDqFlyhYz-vbROC9-AVHrIIf_F5BDgNolGCPA
https://www.hrc.ge/515/eng/